საქართველოს მთავრობის

დადგენილება №66

2022 წლის 15 თებერვალი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 08/02/2016, 300160070.10.003.019106) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის:

1. 406.9.4.1 ქვეთავის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ორმხრივი შესასვლელისთვის/გასასვლელისთვის, სულ მცირე, 6,0 მ.“.

2. 406.9.4.2 ქვეთავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„406.9.4.2. ავტოსადგომის საავტომობილო გზისა და პანდუსის მოხვევის რადიუსი

ავტოსადგომის საავტომობილო გზისა და პანდუსის მოხვევის შიგა რადიუსი, სულ მცირე, 3,5 მ-ია.“.

3. 406.9.4.3.1 და 406.9.4.3.2 ქვეთავები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„406.9.4.3.1. ცხრილი

ავტოსადგომების ზომების, განლაგებისა და გასავლელების მიმართ მოთხოვნები

მინიმალური სიგანე (მეტრი)	გასავლელის მიმართ ავტოსადგომის განთავსების კუთხე (გრადუსი)	გასავლელის მინიმალური სიგანე (მეტრი)	მინიმალური სიგრძე (მეტრი)
2,5	80-90	5,5	5,0
2,5	60-80	5,5	5,0
2,5	45-60	4,0	5,0
2,5	30-45	3,5	5,0
2,5	პარალელური	3,5	6,0.

406.9.4.3.2. ცხრილი

ავტოსადგომების ზომების, განლაგებისა და გასავლელების მიმართ მოთხოვნები

მინიმალური სიგანე (მეტრი)	გასავლელის მიმართ ავტოსადგომის განთავსების კუთხე (გრადუსი)	გასავლელის მინიმალური სიგანე (მეტრი)	მინიმალური სიგრძე (მეტრი)
2,4	80-90	5,5	5,0
2,4	60-80	6,0	5,0
2,4	45-60	4,5	5,0
2,4	30-45	4,0	5,0
2,4	პარალელური	3,5	6,0.“.

4. 1707.7.4 ქვეთავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1707.7.4. ფოიეს ზომა

სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის თითოეული შემოზღუდული ფოიეს ფართობი, სულ მცირე, 10 $м^2$ უნდა იყოს, ზომა კი – სულ მცირე, 2.0 მ.“.

მუხლი 2

ამ დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება იმ ობიექტებზე, რომლებზეც მშენებლობის ნებართვა 2022 წლის 1 მარტამდე გაიცა.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**